



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N17

2014 წლის 28 მარტი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის აპრილის და მაისის თვის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების 50-ე მუხლის საფუძველზე

1. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის აპრილის და მაისის თვის სამუშაო გეგმა. დანართი N1.
2. საკრებულოს კომისიებმა (გ. დაიაური, მ. ბურდული, რ. ზანდუკელი, ზ. დინუაშვილი, ნ. თუჯიშვილი) უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

 ცარო სამაგლიშვილი



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის აპრილის და მაისის თვის

სამუშაო გეგმა

№ რიგზე	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	შესრულებაზე პასუხისმგებელი	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	მომზადდეს და საკრებულოს წარედგინოს ანგარიში მ/წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მდგომარეობის შესახებ	აპრილი 2014 წელი	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მ. ბურდული	
2	შესწავლილი იქნეს საკითხი - „საკრებულოს წევრების მხრიდან საკრებულოს დებულების დაცვის მდგომარეობის შესახებ“	აპრილი 2014 წელი	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია გ. დაიაური	
3	შესწავლილი იქნეს საკითხი - „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ“ და მომზადდეს წინადადებები მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის მიზნით	აპრილი 2014 წელი	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია ზ. დინუაშვილი	
4	შესწავლილი იქნეს საკითხი - „მუნიციპალიტეტის მუზეუმებში არსებული მდგომარეობის შესახებ“ და მომზადდეს წინადადებები მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით	მაისი 2014 წელი	სოციალურ საკითხთა კომისია ნ. თუჯიშვილი	
5	შესწავლილი იქნეს საკითხი - „მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გაზიფიცირების მდგომარეობის შესახებ“ და მომზადდეს რეკომენდაციები სამუშაოთა დაჩქარების მიზნით.	მაისი 2014 წელი	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია რ. ზანდუკელი	